საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030196160567420

№ 01-380/ო **31 / ივლისი / 2020 წ.**

„სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-150/ ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. „სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-150/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. ბრძანებას მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებების მომსახურების არეალი განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად. ამასთან:

ა) ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან ოჯახის ექიმთან გადამისამართებული ზარების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლებელია განხორციელდეს დაწესებულებების ოპტიმიზაცია;

ბ) ოპტიმიზაციას დაქვემდებარეული დაწესებულებები ვალდებულნი არიან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში უზრუნველყონ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რეჟიმზე გადასვლა.“.

2. ბრძანებას დაემატოს „დანართი N2“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ მტკიცდასმულია ელექტრონულად

თამარ გაბუნია